№ 44 **სახალხო გაზეთი** № 44

სამშაბათი, 29 ივნისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამის შემდეგ მეტი ეღირება.

**ხელის-მომწერთა საყურადღებოდ**

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

მიუნხენის ფილოსოფიურ ფაკულტეტის სტუდენტის

### გრიშა დარისპანის ძე მაღლაკელიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს შაბათს, 3 ივლისს, დილის 10 საათზე დ. ყვირილაში წმ. დავითის და კონსტანტინეს ეკკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები: **დარისპან ვახტანგის ძე მაღლაკელიძე, ვასასი ბიჭიას ასული მაღლაკელიძისა** და ძმანი **ტრიფონ, ვლადიმერ, ოლღა** და **ვერა მაღლაკელიძეები** და **ასულნი**, ბიძა **ეფრემ ვახტანგის ძე** და ბიძის-შვილი **ილია გ. მაღლაკელიძეები.** (2—6.—1)

### ილარიონ (ილიუშა) ალექსანდრეს ძე საბახტარაშვილის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე კვირას, 4 ივლის, ფოთის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება წირვა; წირვის შემდეგ ქალაქის სასაფლაოზე—პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ მამა გარდაცვალებულისა **ალექსანდრე**, დედა **ელისაბედი**, ძმები: **გიორგი და მიხეილი**, რძალი—**სოფიო** და ძმის წული—**ალექსანდრე საბახტარაშვილები.** (2—330—1)

**ვასილ აბრამის ძე და დარია ბარნაბიშვილები, ოლღა ვასილის ასული და დიანოზ მერაბიშვილები, დიმიტრი ვასილის ძე, ალექსი, ზაალ და ილია აბრამის ძენი არონ ზაალის ძე და ალექსანდრა მალაქიას ასული ბარნაბიშვილები** ღრმად შეწუხებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალების პირველი და მეორე—ძვირფასს შვილის, მესამე და მეხუთე საყვარელ ძმის, მეოთხე დაუვიწყარ ცოლის ძმის, მეექვსე, მეშვიდე და მერვე დაუფასებელ ძმისწულის, მეცხრე საყვარელ ბიძაშვილის და მეათე მაზლის, სასულიერო სემინარიაში ახლად კურსდამთავრებულის

### ივანე ვასილის ძე ბარნაბიშვილისას.

სამშაბათს, 29 ივნისს, განსვენებულს გამოასვენებენ სოფელ ბოდბის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში და შემდეგ დაჰკრძალავენ იმავ სოფლის სასაფლაოზე. (1—6.—1)

## ● ახალი წიგნი ●

### რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები

**იაკობ გოგებაშვილისა,**

ტომი პირველი. დაბეჭდილია უკვე 480 გვერდი, დანარჩენი 80 გვერდი დაიბეჭდება ამ თვის დამლევამდინ. წიგნი დიდი ფორმატისაა. თითო გვერდზე დატეულია 38 სტრიქონი, თითო სტრიქონში არის 50 ასო. თითო წიგნი ჯდება **სამ აბაზად**. ამ ფასადვე მიიღებს წიგნს ყოველი მასწავლებელი, წიგნის მაღაზია და სხვებიც ვინც კი ახლავე დაიკვეთავენ წიგნსა და **ივლისის ათამდე** წარმოადგენენ სამს აბაზსა. ერთად-ერთი საწყობი წიგნისა არის „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. ამიტომ ფული უნდა გამოიგზავნოს ამ საზოგადოების გამგეობას; მისაგანვე მიიღებენ დამკვეთილს წიგნებსა **პირველს ენკენისთვემდინ.** ტფილისის გარეშე გასაგზავნს ფულს იხდის დამკვეთელი. რათა გაგზავნა იაფად დაუჯდეთ, უნდა წიგნი დაიბარონ ჯგუფ-ჯგუფად, პარტიობით. გამოსვლის შემდეგ წიგნი არა დამკვეთელთათვის ეღირება მანეთად. (8—315—7)

## ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო

აცხადებს გიმნაზიაში შემოსვლის მსურველთა საყურადღებოთ, რომ მომავალი 1910/11 სასწ. წლიდან ვაკანსია იქნება მხოლოდ მოსამზადებელი კლასის **პირველ განყოფილებაში** და **მეექვსე კლასში.**

პირველ განყოფილებაში შემომსვლელთა წლოვანება არ უნდა აღემატებოდეს **9 წელს**, ხოლო მეექვსე კლასში 18-ს.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თხოვნით გიმნაზიის გამგეს ყოველ დღე. გარდა კვირა-უქმისა, დილის 9 საათიდან 12-დი. თხოვნებთან წარმოდგენილ უნდა იქნეს:

1) მოწმობა სინოდის კანტორისა დაბადების და ნათვლის შესახებ და
2) წოდების მოწმობა. (3—6.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე. გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—214)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**გ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—375)

## ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

**პატარა ცემში**

**გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:**

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს. (25—23)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—96)

**ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—8

**ექიმი აბასთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**
იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—11)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6.—6)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. კირა. ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი დ. ახვლედიანი**
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაზლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ხარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ხუდაბაშევი**— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**ბატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
**ორემბოვსკი**—ცხვ., ყელის, ყურისა. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**მიკირტუმოვი** მიხტარიანცის ნაცვლად) დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროთერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს.
**ი. მ. ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—59)

## მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი **ხვირისა** და **კახური** ღვინოები

### ჩახიბაიასი

იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო რესტორანებში.**

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე **№ 13.**

პატივისცემით **ჩაჩიბაია.** (20—გაყ.—9)

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

## ალიონი

**მიიღება ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად, 1 ივლისამდე.**

1 **კარლ კაუცკი.**—(კარლ-მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან **ფ. მახარაძისა,** ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით და მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობით და განმარტებებით. დაახლოვებით 500 გვერდამდე.

2 **ივ. გომართელი.** „ადამიანის ნება და ზნეობა" 100 გვერდამდე.

3 **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** „ბედის ტრიალი" (რომანი) და „მეკვლეხის გარშემო" (მოთხრობა) ავტორის სურათით (ორივე ერთ წიგნად), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მღვდელ-დღევანდელ სამღვდელოების ცხოვრებიდან 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის მოწერა დაიწყო პირველ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება 1-ლ **ივლისს.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ეღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლობის მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ-ფასად გამოცემა, რასაც ამტკიცებს „ალიონი"-ს მიერ გამოცემული წიგნები: N 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის მოწერით 60 კ. და N 2. „გლეხი-კაცის ისტორია" 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში ხსვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გადარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ასეთები უსათუოდ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია **ამ სისტემით წიგნების გამოცემა.** ამიტომ ვურჩევთ მსურველთ ხელის მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ. ხელ-მოსაწერ კვიტანციებზე დაკრულია «ალიონის» ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და ტფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. N 21.

როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში ხელის-მოწერა მიიღება ჩვენ აგენტებთან.

**„გლეხი-კაცის ისტორიაზე" ხელის მომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ წიგნები უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ.** ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, უნდა გვაცნობონ ღია წერილით, ამასთანავე თუ წიგნში ფურცლები გაფუჭებული აღმოჩნდეს, ასეთ წიგნებს გამომცემლობა გამოუცვლის ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 21. **აქვე გადავიდა წიგნის მაღაზია „ალიონი".** (0—11) წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

## შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

### ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.
**ფასები საფაბრიკოა.**
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—30)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

უკვე დამტკიცდა კანონი ფინლანდიისათვის საერთო კანონ-მდებლობის შემოღების შესახებ. მთელი მემარჯვენე რუსეთი დღესასწაულობს გამარჯვებას. სათათბიროს წევრთა დიდი უმეტესობა ამაყად წარსდგება თავის ამომრჩეველთა წინაშე, არ გაწითლდება—მამულიშვილური საქმე ჩაიდინა... „გოლოს მოსკვი" ეს ოქტომბრისტთა, ან როგორც ეძახიან, მთავრობის უკანასკნელ განკარგულებათა პარტიის ოფიციოზი იქამდის კმაყოფილია რომ ოდნავად ეჭვიც არ ეპარება თავის უცოდველობაში. ისტორიულ პერსპექტივას ითვალისწინებს და ამბობს:

> რუსეთის საბედნიეროდ და ფინლანდიის საკეთილოდ ასი წლის განმავლობაში არსებული გაუგებრობა კანონმდებლობითი აქტით დაბოლოვდა... გაივლის დრო, გამწვავებულ პოლემიკის მძიმე ღრუბელი გაიფანტება და რთული პროცესი მთლიან რუსეთის ჩრდილოეთის ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივობის განხორციელების და გამარჯვებისა ნათლად გამოჩნდება ისტორიულ პერსპექტივაში... გაივლის ათი ან ოცი წელიწადი საერთო კანონმდებლობის წყნარ და შეუდრეკელ გინვითარებისა და დღევანდელი გიჟური და უაზრო შეჯგუფება პოლიტიკურ პარტიებისა ფინლანდიის საკითხის გარშემო გამოიცვლება. შესწყდება ბოროტი ძახილი ფინლანდიის სეპარატიზმის ფანატიკოსებისა და რუსეთის საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა ექნება, თუ რას წარმოადგენდა ფინლანდიის საკითხი განვლილ წლებში. დარწმუნდება, რომ საკითხის ასე გადაწყვეტა რუსეთის უტყუარ პოლიტიკურ განვითარების მომასწავებელი არისო.

ასე იმედოვნებს „გოლოს მოსკვი" გაჩუმდებიან ყველანი პოლიტიკური პარტიები, რომელნიც დღეს თავგამოდებით ფინლანდიის მხარეზევე არიან—მიხვდებიან თავიანთ პოლიტიკურ შეცდომას. „გოლოს მოსკვი" რომ გამარჯვების პირველ წუთებს არ დაეთრო, ეხსომებოდა გუჩკოვის სიტყვები, იმ-ვ გოლოს „მოსკვის" ფურცლებზევე ამ ერთი კვირის წინად დაბეჭდილი. ფინლანდიელები ცხლავე არ გაგვცემენ პასუხსაო, იმათ ძარღვებში ცივი სისხლი სჩქეფსო და სხვა.

*
* *

„ნოვოე ვრემიაში" დაიბეჭდა წერილი სოფიაც ვექილ უსპენსკისა, რომელიც იცავდა უდანაშაულოდ დასჯილ გლუსკერის საქმეს. გლუსკერს აბრალებდენ ბიხოვსკის ოჯახის ამოწყვეტას. საქმე კიევის სამხედრო სასამართლოში ირჩეოდა. მოხდა ისე, რომ გლუსკერი საშინლად წააგავდა ნამდვილ მკვლელს. ბიხოვსკის 10 წლის წლის ქალმა შეცდომით ხელი დაადო გლუსკერს, ამან მოჰკლა ჩემი მშობლებიო. მოსტყუვდნენ მოწმებიც, რომლებმაც შეცდომით ხელი დაადვეს გლუსკერს, როდესაც ის მკვლელობის მომენტში ასი ვერსის სიშორეზე იყო, სამუშაოდ წასული. სასამართლომ ცზრაელ მოწმეების ჩვენებას ფასი არ მიიღო, ხოლო გუსევის ქალი, რომელთანაც გლუსკერი მუშაობდა

არ გამოიწვია სასამართლოში. საქმის მეორედ გარჩევის დროს, როდესაც ნამდვილ მკვლელობის საქმეს არჩევდენ, გამოირკვა გლუსკერის უდანაშაულობა. ამ ნაირად სასამართლომ შეცდომა ჩაიდინა და ნაფიცი ვექილი აღნიშნავს რა ამას, სთხოვს საზოგადოებას შეიბრალოს გლუსკერის უმწეოდ დარჩენილი ექვსი პატარა შვილი.

„რუსკია ვედ. მეთაურ წერილში ეხება ამ ამბავს და ამბობს:

> როდის მოეღება ამას ბოლო? განა სიკვდილით დასჯა, რომელიც მკვლელობად იქცევა, ძირს არ უთხრის თვით იდეას მართლმსაჯულებისას? ყოველგვარი სასჯელი და მით უმეტეს სიკვდილით დასჯა, სახელმწიფოს ხელში—ის უტარო მახვილია, რომელიც სისხლად სცლის და ჰკლავს იმასაც, ვის წინააღმდეგ იქნება ამართული და ვინც მას აღმართავს. რადა უშლის ხელს ამ სისხლის ღვრის შეწყვეტას? იუსტიციის მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა სახელმწიფო საბჭოს კომისიაში განაცხადა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება თხოულობს ქვეყნის დამშვიდებას. მაგრამ ქვეყანა ხომ დამშვიდდა და ეს ოფიციალურადაა ცნობილი. სად არის დასასრული და ბოლო იმ „დამშვიდების“ დამყარებისა, რომელსაც გლუსკერები მსხვერპლად ეწირებიან.

* *

„რუსკ. სლ.“ დაბეჭდილია ნ. ლაპატინის წერილი ლონდონში მომხდარ დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლების კონგრესის შესახებ.

კრების იდეა, რასაკვირველია, დიდებულია. მაგრამ ცხოვრება ხომ არა ერთხელ დასცინის ხოლმე საუკეთესო იდეებს. კრების გახსნის წინა დღეს ხარტუმის არქიეპისკოპოსმა შოვინისტური სიტყვა წარმოსთქვა წმ. პავლეს ტაძარში ეგვიპტელთა და სუდანელთა წინააღმდეგ. თვით კონგრესის გახსნის დღეს ქაირში დასაჯეს ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლი ვარდანი.

ალბად ჯერ არ დამდგარა ის დრო, როდესაც შეიძლებოდეს უმაღლეს საერთაშორისო სამართლიანობის წინაშე ამოიღო ხმა და განასაჩივრა ეროვნული შევიწროება. ისეთი კულტურული ქვეყანა, როგორიც არის ინგლისი იმდენად მოწინავე სახელმწიფოდ აღმოჩნდა, რომ ნება დართო დაჩაგრულ ერთ წარმომადგენლებს შეკრებულიყვნენ და ყური კი არ ათხოვა წარმომადგენელთა საჩივარს.

შემდეგ აწერილია, რომ როდესაც კონგრესზე ცხარე სიტყვებს ლაპარაკობდნენ ეგვიპტისა, პოლონეთისა, ფინლანდიისა, საქართველოსი და ინდოეთის წარმომადგენელნი საზოგადოება საჭიროდ არა სთვლიდა ყური დაეგდო მათთვის და მიუშურებოდა კლოუნების სანახავად, რუსულ ბალეტის საყურებლად. ორატორებმა არა სთქვესრა ისეთი, რაც ერთხელ და ორჯელ არ გაგვიგონია და წაგვიკითხავს. სულის შემოხუთველ შთაბეჭდილებას ახდენდა გათვალისწინება იდეურ ბრძოლის სისუსტისა. ლაპატინი ასე ათავებს:

> კონგრესი დასრულდა. ამ კონგრესის შესახებ კარგი ის ითქმის მხოლოდ, რომ იმან არავის ზიანი არ მოუტანა და საშუალება მისცა ათიოდე კაცი შეკრებილიყო და თავიანთი საჩივარი გადმოეთხრათ მცირე რიცხოვან, მაგრამ თანამგრძნობელ აუდიტორიის წინაშე.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

27-28 ივნისი.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი**. დეპუტატთა პალატამ განიხილა ბიუისონის შეკითხვა, რომელიც შერონს მარსელის გაფიცვის საქმეში ჩარევას აბრალებდა, და მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

**ბერლინი**. პრესა ვრცლად იხილავს „ტაიმს“-ში გამოქვეყნებულ რუსეთ-იაპონიის შეთანხმებას და ერთხმად სცნობს მის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. „კროიცეი ცუნგი“ საჭიროდ სცნობს გერმანიის, ავსტრიის და ამერიკის შეკავშირებას, რათა რუსეთის, იაპონიის, ინგლისის და საფრანგეთის შეთანხმებას პირისპირ ძალა დაუყენონ. „პოსტი“-ს აზრით საფრანგეთი და ინგლისი მოსტყუვდნენ, რომ ამ შეთანხმებაში შევიდნენ, რადგან შეთანხმების შედეგი მათთვის ხელსაყრელი არ იქნება. „ფოსიშე“ დაკინვის კილოთი ბედნიერად იხსენიებს საფრანგეთს და ამბობს, არც თუ რუსეთი ჩავარდება ნეტარებაში ამ შეთანხმებით. რამდენსაც უფრო ჩაირევენ რუსებს მონღოლიის ავანტიურაში, იმდენად ეს იაპონელებისთვის სასიამოვნო იქმნება. „ბერტინერ-ტაგებლატი“ მომხრეა შეთანხმებისა, თუ გერმანიას დაარწმუნებენ, რომ თავისუფალი კონკურენცია აზიაში და მანჯურიაში კვლავ ძალაში დარჩება. „ფრანკ-ფურტერი“ პირიქით სკეპტიკურად უყურებს ამ შეთანხმებას და ამბობს, რომ იგი ვერ შესცვლის საქმეთა მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში, რადგან რუსეთი და იაპონია ერთმანეთის ბუნებრივი მტრები არიან. უომოდ საქმე არ გათავდება, იგი მხოლოდ რამდენიმე ხნით გადადებულიაო.

**სოფია**. სლავიანთა კრება მუშაობას განაგრძობს. წაიკითხეს რეფერატები სერბიის კულტურულ მდგომარეობის და ბოლგარეთის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. სექციის კრებაზე მიიღეს წინადადება სლავიანთა დეპეშათა სააგენტოს მუშაობა დაიწყოს. დეპუტატმა კლოფაჩმა წინადადება შეიტანა შემუშავდეს მეცნიერებისათვის და კომერციისათვის სლავიანური ტერმინოლოგია. შესდგა კომიტეტი, რომელიც ამ საკითხის შესახებ მოხსენებას წარუდგენს შემდეგ კრებას.

**კლეინშეიდეგი** (შვეიცარია). ნაცარტუტამ ქვეშ მოიტანა 12 ტურისტი, რომელთაგან ხუთი გადაარჩინეს.

**მადრიდი**. სენატი. კანალეხისმა შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც აკრძალულია ახალ რელიგიოზურ საზოგადოებათა გახსნა ისპანიაში, სანამ კონკორდატის რეფორმის შესახებ მოლაპარაკება არ დამთავრდება მადრიდსა და ვატიკანს შორის.

**სოფია**. სლავიანთა კრება, საკულტურო სექცია. მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც მიმდინარე წელს პრაგაში უნდა გაიხსნას სამეცნიერო კონგრესი სლავისტიკის, სლავიანთა სათეატრო სააგენტოს დაარსების, სლავიან ტურისტების კავშირის და სხვ. შესახებ საკითხების განსახილველად. ეკონომიურმა სექციამ დაადგინა 1913 წელს პრაგაში გაიმართოს საერთო სლავიანთა სამხატვრო-სამრეწველო გამოფენა. შემდეგ მიიღეს მთელი რიგი დადგენილებათა, რომელნიც ხელს უწყობენ სლავიანთა ქვეყნებში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და ეკონომიურ ურთიერთობას.

**კანეია**. რადგან, კრების ქრისტიან-წევრების არა ერთი და ორი თათბირის შემდეგ შეთანხმება ვერ მოხერხდა, ელჩებმა აცნობეს კრიტეს მთავრობას, რომ თუ ორშაბათამდის მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული, საბაჟოებში ჯარს ჩავაყენებთო.

**სოფია**. სლავიანთა კრება. ბობჩევმა განაცხადა, რომ სტახოვიჩს არა სურს მოსკოვის საორგანიზაციო კომიტეტის წინააღმდეგ გამოცხადებულ პროტესტს მსვლელობა მისცეს. ლევ ტოლსტოიმ ბობჩევს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც გამოსთქვამს თავის შეხედულებას კრებაზე და სიმპატიას უცხადებს მას. მაკედონიის საზოგადოებათა წარმომადგენლებმა კრებას მემორანდუმით მიმართეს და სთხოვეს ფრთები შეაკვეცოს სერბიის მაკედონიის პროპაგანდას, რომელიც სლავიანთა გაერთიანებას ხელს უშლისო. პოლონეთისა და უკრაინის საკითხებში უთანხმოებისა გამო რუსეთის დელეგაციიდან გამოვიდნენ ოდესის სლავიანთა ერთობის საზოგადოების წარმომადგენელი ლუცენკო და პროფესორი პოგოდინი. სოციალისტურ გაზეთის „კამბანას“ აგიტაციამ კრების წინააღმდეგ დიდი ნაყოფი ვერ მიიტანა.

**ბელგრადი**. „პრეს-ბიურო“ კატეგორიულად უარყოფს გაზეთის ცნობებს, ვითომ ბელგრადის პოლიციას სერბიის მეფის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოეჩინოს.

**კანეია**. ოპოზიციამ თანხმობა განაცხადა უწესობის წინააღმდეგ მიღებულ იქნას ზომები. ამასთანავე მოითხოვა კრიტეს კრებაზე დასაშვებად მაჰმადიანმა დეპუტატებმა ფიცი მისცენ საბერძნეთის მეფეს. თუ კრების უმრავლესობა სახელმწიფოთა სურვილს დაემორჩილება, ოპოზიცია მონაწილეობას არ მიიღებს კრებაში, რომელიც დღეს შესდგება. ვენიზელოსს იმედი აქვს, რომ კანონიერ გადაწყვეტილებისათვის კრებაზე დამსწრეთა რიცხვი საკმაო იქნება.

**კანეია**. 26 ივნისს მოხდა ნაციონალურ კრების სხდომა. მთავრობამ 114 ქრისტიან დეპუტატიდან 59 ძლივ ძლივობით შეჰყარა. მაჰმადიანთა კრებაზე დაშვებას 55 დეპუტატმა მისცა ხმა. კრებამ სხდომები ოთხი თვით შესწყვიტა.

### ოსმალეთი

**სალონიკი** 24 ივნისს საღამოთი დიბრის ახლოს ჯარის ორ მოწინავე რაზმს ალბანელებმა საფრებიდან, რომელიც ძმ. კაბიშებს მოეწყოთ, სროლა აუტეხეს. სროლა სამი საათი გაგრძელდა. რაზმებს ჯარი მოეშველა. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. ძმ. კაბიშები და რვა ალბანელი ცოცხლები შეიპყრეს. 24 ივნისს დიბრში მივიდა თურგუთ-ფაშა. იპეკში ჩამოარჩევს ცნობილი ყაჩაღი ბილიალ-ბექირი.

**სალონიკი**. დიბრში მცხოვრებლებს კვლავ იარაღს ართმევენ. ალბანელები, პროფესიონალურ ყაჩაღების გარდა, თავის ნებით აძლევენ ჯარს იარაღს.

### სპარსეთი

**თეირანი**. სეპეხდარის კაბინეთი ვადადგა. მალე მეჯლისის წევრებიდან ამოირჩევენ ახალ კაბინეთს — მუშირ-უდ-დოულეს მეთაურობით.

### რუსეთი

**სამარა**. ნოვოუზენსკის მაზრის სოფელ ალექსანდროვ-გაიში ცეცხლმა 140 სახლ-კარი გაანადგურა.

**ვლადივოსტოკი**. ტიხანოვიჩის ექსპედიცია ორ ნაწილად გაიყო. სახალინის აღმოსავლეთ ნაპირში აღმოაჩინეს ნავთის ახალი ადგილები. მეორე ნაპირზე მივიდა ტიანცზინიდან ინგლისელ ინჟინრების ჯგუფი.

**ხერსონი**. ხერსონიდან 18 ვერსის მანძილზე, ოდესიდან მომავალი რუსეთის სავაჭრო საორთქლმავლო საზოგადოების გემი განთიადისას დაეჯახა სამგზავრო ორთქლმავალ „ლოვკის“, რომელზედაც აფეთქდა ქვაბი. „ლოვკა“ ჩაიძირა. არის ადამიანთა მსხვერპლი.

**მოგილევი**. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცეცხლის საქრობ ფონდიდან 10,000 მანეთი გადასდო მოგილევში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

**კიშინევი**. რადგან საკრედიტო საზოგადოებაში 70,000 მან. აღმოჩნდა გაფლანგული, ფინანსთა სამინისტროს მოხელეებმა ამ საზოგადოებას რევიზია გაუკეთეს. საზოგადოების ზარალი 1,000,000 მანეთს უდრის.

**კიევი**. ვინიცკის სამხედრო ორგანიზაციის საქმის გამო მეცხრამეტე საარტილერიო ბრიგადის 11 ჯარის კაციდან და ოთხი აფიცრიდან გადასახლება, დისციპლინარული ბატალიონი და კატორგა გადაუწყვიტეს შვიდ ჯარის კაცს, ხოლო დანარჩენნი გაამართლეს.

**პეტერბურგი**. სამთო ინჟინერი ივანოვი გაიგზავნა ურალზე გორნობლაგოდატის ქარხნების საქმეთა მდგომარეობის შესასწავლად.

**ხერსონი**. ღამის 2 საათზე მდინარე დნეპრზე ოდესიდან ხერსონში მიმავალი რუსეთის საზოგადოების ორთქლ-მავალი „ვამპოა“ შეხვდა ხერსონიდან ნიკოლაევში მიმავალ ორთქლ-მავალს „ლოვკი“-ს. „ვამპოა“-მ „ლოვკი“-ს თავის დროზე მისცა ნიშანი. „ლოვკი“-მაც ისეთივე ნიშანი მისცა და წითელი ფუქლი სჩანდა, მაგრამ იგი უცებ გაქრა და მის მაგივრად მწვანე შუქი გამოჩნდა. „ვამპოა“-ს კაპიტანმა გემი უკან დაჰხია, მაგრამ გვიანღა იყო. „ვამპოა“ „ლოვკი“-ს დაეჯახა. გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. ორი საათის შემდეგ „ლოვკი“ ჩაიძირა. მოკლულია ფერშალი, მძიმედ დაშავდა 50 კაცამდე.

**მოსკოვი**. ჩაყარეს ნევროლოგიურ ინსტიტუტის შენობის საძირკველი.

**ხერსონი**. ორთქლმავალ „ლოვკი“-ს მგზავრები „ვამპოა“-მ მოიყვანა ხერსონში. დაშავებულები საავადმყოფოში მოათავსეს. სამი მათგანი უკვე გარდაიცვალა.

**პეტერბურგი**. 1910—11 წლ. საშინაო ბაზარზე გასატანად ფინანსთა მინისტრმა 70 მილიონი ფუთი შაქარი დანიშნა, ხოლო თადარიგისათვის ხელუხლებლად შესანახად 8 მილიონი. 1910 წ. პირველ სექტემბრიდან 1911 წ. პირველ იანვრამდე ფუთი შაქარი ეღირება მან. და ორი შაური, ხოლო 1911 წლის პირველ იანვრიდან პირველ სექტემბრამდე 4 მან. და ერთი აბაზი.

**ოდესა**. ნავთსადგურში გაფიცულმა მენავშირეებმა ძველ პირობებით განაახლეს მუშაობა.

**ვარშავა**. სენატორმა ნეიდგარდტმა სისხლის სამართალში მისცა ვარშავის ოლქის საინტენდანტო 66 მოხელე.

**სარაპული**. სოლოვენიკოვის მემკვიდრეებმა ერობას შესწირეს 350,000 მანეთი სარაპულში საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის გასახსნელად.

**ბლაგოვეშჩენსკი**. სამმა ბოროტგანმზრახველმა გაძარცვა მიხაილოვის ფოსტის განყოფილება. წაიღეს 26,140 მან.

**მოგილევი**. გორეცკის მაზრის დაბა ბაბაევში გადაიწვა 64 სახლი, სხვათა შორის სახაზინო არყის დუქანი.

# საქართველო და რუსეთი

(ისტორიული მიმოხილვა რუს-ქართველთა დამოკიდებულებისა XV—XVIII-ს.)

II.*)

**რუსეთის დესპანების ოინები და ბორის გოდუნოვის სურვილი ქართველებთან მონათესაობისა.**

(შემდეგი)

1598 წ. გამეფდა ბორის გოდუნოვი. ეჭვი არ იყო, რომ ბორისი განაგრძობდა წინანდელს პოლიტიკას კავკასიისა და საქართველოს შესახებ. თუ წინად თეოდორე ივანეს ძის მეფობის დროს, როცა მარტო გამგე იყო რუსეთისა, ყოვლის ძალღონით სცდილობდა კავკასიაში რუსეთის ფეხის მოკიდებას და საქართველოსაგან ძლიერის საქრისტიანო ქვეყნის შექმნას, რომელსაც მისი პოლიტიკა უნდა განეხორციელებინა კავკასიაში, ეხლა, როცა თვით გახდა ბრძანებელი რუსეთისა, რაღა ძალასა და შეძლებას დაზოგავდა? შამხალს, რომელიც პირველი გადაეღობა რუსეთის პოლიტიკას და თხებსავით დაილალა რუსები, ყოველმხრივ ეცდებოდა თავპირი ჩაემტვრია, ყაზანისა და ასტრახანის სახანოებისავით გაენადგურებინა და მის ნანგრევებზედ მკვიდრათ მოეკალათნა.

ბორის გოდუნოვი ეხლა სრულის გულმოდგინებით ეკიდებოდა საქმეს, ითვალისწინებდა ყოველივე წვრილს გარემოებას და ცდილობდა ისე მოეგვარებინა საქმე, რომ ძველს შეცდომებს ადგილი აღარა ჰქონოდა, სანაქებოდ აღედგინა კავკასიაში შერყეული რუსეთის სახელი და ჯეროვანი პატივი და ნდობა მიეპოვებინა კავკასიის ერთა შორის.

ამ დროს გაჩნდნენ საქართველოს ელჩებიც, რომელნიც მეფე ალექსანდრეს გამოეგზავნა ახალის მეფისათვის ტახტზედ ასვლის მისალოცად. ელჩები სოლომონ აბულულაძე და ლევან მუგალბეგოვი¹) (სომეხი), ბორის გოდუნოვმა არა ჩვეულებრივის პატივითა და დიდებით მიიღო და ხანგრძლივი მოლაპარაკება გაუმართა შამხალზედ გალაშქრების შესახებ. ქართველებმა პირობა დაუდეს, რომ ძლიერი რაზმი გაეგზავნათ ბატონიშვილის გიორგის წინამძღოლობით, რომელიც თერგსა და სუნჯას შეუერთდებოდა და რუსეთის მხედრობას. რუსები კიდევ ძლიერს ჯარებსა გზავნიდნენ ასტრახნისა და თერგიდან, გამოცდილის სარდლის ივანე ბოგდანოვსკის წინამძღოლობით, რომელთანაც თანხმობით უნდა ემოქმედნა ბატონიშვილს გიორგის. რუს-ქართველთა შეერთებულს ჯარს უნდა შეემუსრათ შამხლის და ყუმუხთა ძლიერება, დაემორჩილებინათ იგინი, მიეღებინებინათ რუსეთის ქვეშევრდომობა და საქართველოში მომავალი გზა უზრუნველ ეყო. ქართველებს აფთხილებდნენ, რომ ძველებურად არ მოეტყუებინათ რუსები, უსათუოდ გაეგზავნათ ჯარები, თორემ რუსები უიმათოდ არას გზით არ გაილაშქრებდნენ.

ამისთანა გადაწყვეტილებით გამოისტუმრა ბორის გოდუნოვმა ქართველთა ელჩები და თან გამოაყოლა თავისებიც—ივანე ნაშჩოკინი და ივანე ლეონტიევი, რომელთა თანადასწრებით, სხვათა შორის, ფიცი უნდა მიეღოთ კახელებს ახალ მეფის ქვეშევრდომობაზედ და ერთგულებაზედ.

როცა ელჩები შემოვიდნენ საქართველოში, კახეთი აბობოქრებულს ზღვას წარმოადგენდა და თვით ალექსანდრეც აღარ იყო ტახტზედ. აი საქმე რაში იყო. ერთხელ მეფე ალექსანდრე ისე ძლიერ გახდა ავათ, რომ მორჩენის იმედი აღარავისა ჰქონდა. ამ დროს შვილებმა გიორგიმ და დავითმა ცილობა დაიწყეს მემკვიდრეობის გამო, ასტყდა გაუთავებელი ჩხუბი და უსიამოვნობა, ჯერ ისევ ცოცხალი მამის წინ. დავითს მიუტანეს ამბავი, რომ გიორგის უნდა შენი მოკვლა და თვით გამეფებაო, გიორგს კიდევ დავითზედ მიუტანეს ამგვარივე ამბავი. გიორგი შეშინდა და ოსმალეთისაკენ ჰქნა თავი, მაგრამ დავითმა დროზედ შეიტყო, კაცები დაადევნა საჩქაროდ, უკანვე მოაყვანინა, შეურიგდა, მისცა საცხოვრებლად საკმარისი ყმა და მამული და თვით გამეფდა. მაგრამ ხალხი ამითი კმაყოფილი არ დარჩა, ისინი მივიდნენ გიორგისთან და განუცხადეს, რომ თვით გამეფებულიყო, ხოლო დავითს მოჰკლავდნენ, ამ გვარი სურვილი ხალხისა იმითი აიხსნება, რომ დავითი ამაყი, მრისხანე და შეუპოვარი იყო, გიორგი კი მშვიდი, ხალხის შემბრალებელი და მშვენიერ ჰაეროვანი²). გიორგიმ ცივი უარი განაცხადა ხალხის წინადადებაზედ. ამ ხნის განმავლობაში მეფე ალექსანდრე უკვე მორჩა და თავისუფლად შეეძლო სამეფოს მართვა-გამგეობა, მაგრამ დავითმა არამც თუ არ დაუბრუნა უკანვე სამეფო, პირიქით მოსთხოვა მამას ჩაბარება სამეფო გვირგვინისა და ხმლისა და თუ ეინიცობაა წინააღმდეგობას გაუწევდა ალექსანდრე, მოკვლას ემუქრებოდა დავითი. შეშინებული მამა იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა აბეზარის შვილის მოთხოვნილება. გიორგისაც არ უსვენებდა დავითი, ამიტომ ყოველივე უსიამოვნების ასაცილებლად ქათალიკოზთან გაიქცა და იქა სცხოვრობდა. მაგრამ ბოროტმა დავითმა იქაც არ მოასვენა გიორგი, მიუხტა, დაიჭირა, ბორკილები დაადო და თორის ციხეში თავი უკრა, ხოლო მისი მომხრენი 17 კაცი ზოგი ამოჰხოცა, ზოგი კიდევ ქოეთის ციხიდამ გადმოჰყარა. განიძრახა კიდევ ვინმე გამოჩენილის პირის სტოროზანის³) მოკვლა, მაგრამ იმან მოასწრო ეკლესის თავის შეფარება, სადაც ქართველთა ტრადიციულის ჩვეულებით ადამიანისთვის ხელის ხლება არავის შეეძლო. მაგრამ დავითს ამ წმინდა ჩვეულების გადალახვაც არ შერცხვა, შეუვარდა ეკლესიაში და წმინდა ტრაპეზი კაცის სისხლით შესვარა. მოხუცმა მამამ ამისთანა საზიზღარი საქციელი შვილისა ველარ მოითმინა, შევიდა იმავე ეკლესიაში, მოიხადა ქუდი, დაუჩოქა ღვთის მშობლის ხატს და დასწყევლა თავისი შვილი. ამის შემდეგაო, ამბობს მემატიანე, დავითი საშინლად ავად გახდა და მოკვდაო. ეს მოხდა 1603 წელს. დავითმა იმეფა სულ ექვსი თვე. ალექსანდრე ხელახლა გამეფდა.

აი ამ დროს, როცა კახეთის საქმეები ასე იყო აწეწილ-დაწეწილი და დავათის თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა, შემოვიდნენ რუსეთის ელჩები ივანე ნაშჩოკინი და ივანე ლეონტიევი. მეფე დავითმა ფიცი მიიღო, თანახმად გრამატისა, ბორის გოდუნოვის ერთგულობაზედ, მაგრამ ისე იყო საქმეებში გართული, რომ მოცალება არა ჰქონდა ხანგრძლივი ლაპარაკი გაემართა ელჩებთან მაშინვე, ამიტომ მოლაპარაკება სხვა დროისთვის გადასდო, როცა უფრო მოიხელთავებდა დროსა და მოიცლიდა. ამ დროის განმავლობაში კი რუსეთის ელჩებმა თავი ისახელეს ათასის უგვანისა და არა საკადრისის საქციელით, რის გამოც სამართლიანი ზიზღი და მრისხანება გამოიწვიეს ქართველთა საზოგადოებისა და რუსეთის მთავრობისა. გათამამებულმა იმითი, რომ თვით კახეთში საქმეები აწეწილ-დაწეწილნი იყვნენ და ძალლი პატრონს ველარ სცნობდა, აბუჩად აიგდეს კახელები, ყოველ საზღვარს გადავიდნენ და ქურდობასა და მეძაობას მიჰყვეს ხელი. მარტყოფში, სადაც მეფემ საზაფხულოდ მოათავსა, თავიანთს სადგომის ახლოს ორი დედაკაცი და ერთი კაცი მოჰკლეს რუსთა თარჯიმანებმა დიმიტრი ივანოვმა და ივანე სერგეევმა. ამავე სოფელში ძალით მოიტაცეს სპილენძის ქვაბები, თვით ქვაბების პატრონს ძალზედ სცემეს და შემდეგ ეს ქვაბები ივანე ლეონტიევის ბრძანებით ყაბარდოში გაჰყიდეს. სოფ. საჭილონში ქალის მოტაცება უნდოდათ, მაგრამ ქალის წივილ-კივილზედ ხალხი მიეშველა და საწადელი ვერ აუსრულდათ. სამაგიეროთ მოიპარეს ერთი ბათმანი აბრეშუმი და აბრეშუმისავე ქსოვილები. ეს კიდევ არაფერი, შუათაში ცხრა რუსმა მოსტაცეს ერ... გლეხკაცს ცოლი, ტყეში გაიტაცე... ნამუსი აჰხადეს და ისე აწვალ... რომ იქვე სული განუტევა. დესპანებმა ითხოვეს ძეგამში ანუ ბაზა...ში წასვლა⁴), რომელიც მაშინ სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდა. იყრიდნენ თავს სავაჭროდ თითქ... მთელის აღმოსავლეთის ხალხ... სპარსელებს, სომხებს, ოსმალებ... ქართველებს, შირვანელებს და სხვ... აქ მიჰქონდათ თავიანთი ქვეყნ... ნაწარმოები გასასყიდლად. აქ ბაზა...ში რუსებმა სიმთვრალეს მიჰყვეს... ლი, სავაჭროდ მოსულ მუსულ...ნებს მთვრალი რუსები თავიდ... ჩალმებსა სტაცებდნენ, ვაჭრებს ...ოებს და ვერცხლეულობასართმ...დნენ, ქალებს აუპატიურებდნ... დაწიოკებულმა სავაჭროდ მოსუ...მა ხალხმა, ერთხმად მიჰმართა ...ფეს და სთხოვა თავის დაცვა. მე... გაგზავნა ყველასაგან პატივცემ...ბერი კირილე ქრონტოპულო, ...მელსაც უნდა ენახა რუსების ე...ბი და აეხსნა, რომ ამგვარი საქ...ელი საკადრის არ არის და მეფე... წუხებული არისო. მთვრალმა რუ...ბმა ჩხუბი აუტეხეს კირილეს, თ... მეფე ალექსანდრე ლანძღვა-გინე...

ავტ...

*) იხ. „სახალ. გაზეთი“ N 41.

1) იხ. საქართველოს ისტორია, მარი ბროსესი.

²) იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II გვ. 112.

³) იხ. Бѣлокуровъ, сношенія Россіи съ Кавказомъ გვ. 389.

⁴) სოფ. ძეგამი მდებარეობს შუა საინგილოში, მის მახლობლად ბაზარია, რომელსაც დღეს ეხკი ბა... ეძახიან და სადაც მეფე ლეონისაგან ნაშენი დიდი ტაძარი დღესაც მშვ...რად არის შენახული. ამ ეხკი ბა... მიდამოებში მრავალი ძველი ნანგრ...ბია, სადაც დღესაც ჰპოულობენ მ... ფულებს და მათ შორის რომაულსა ინგლისურსა. ამ მოკლე ხანში ნა... ინგლისურ ფულებს 1459 წლის ...დები აჯდა.

**ხერსონი.** ორთქლმავალ „ლოვკი“-სა და „ვამპოა“-ს დაჯახების დროს მოკვდა ფერშალი, მძიმედ დაშავდა 26, მსუბუქად 8 მგზავრი. საავადმყოფოში 5 მათგანი უკვე გარდაიცვალა. დაშავებულთა შორის მეტი წილი ვაჭრებია.

**პეტერბურგი.** კიევის მაზრაში სეტყვამ გაანადგურა 1400 დესეტინა ნათესი, არზამასის მაზრაში 900 მეტი დესეტინა, ხოლო სამარის გუბერნიის ნიკოლაევის მაზრაში 1610 დესეტინა ნათესი.

ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

ეკატერინოსლავის, ხერსონის, პოლტავის, ხარკოვის, ვორონეჟის, ბესარაბიის, ასტრახანის, ციმბირის, რიაზანის და ტფილისის გუბერნიები და იზიუმის და ოსტრაგოჟის მაზრები ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოცხადდა.

**ბალახნა.** სოფელ გოროდცში ორთქლმავალზე აღმოაჩინეს ხოლერიანი ავადმყოფი. იგი მალე გარდაიცვალა.

**კერჩი.** ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 5, ავად არის 51 კაცი.

**აკკერმანი.** ხოლერით ავად გახდა 10. ავადმყოფთა შორის არის ქალაქის ექიმი. გარდაცვალებულთა შორის არის საპატიმროს უფროსი.

**კიევი.** კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 79, გარდაიცვალა 42 კაცი. გუბერნიაში ავად გახდა 190, გარდაიცვალა 68 კაცი.

**ნიჟნი.** ხოლერით გარდაიცვალა 6, მაზრაში გარდაიცვალა 2 კაცი.

**ორიოლი.** გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 90, გარდაიცვალა 38 კაცი.

**დონის როსტოვი.** კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 303, გარდაიცვალა 97; ეპიდემიის გაჩენის აქეთ ავად გახდა 2971, გარდაიცვალა 904 კაცი.

**სევასტოპოლი.** ხოლერით გარდაიცვალა 3, ავად არის 4 კაცი.

**ხარკოვი.** ხოლერით ავად გახდა 3 კაცი.

**ჩერნიგოვი.** კვირის განმავლობაში ქალაქში ხოლერით ავად გახდა 15, გარდაიცვალა 7; გუბერნიაში ავად გახდა 74, გარდაიცვალა 31 კაცი.

**სევასტოპოლი.** ხოლერით კვლავ გახდა ავად 2, ავად არის 6 კაცი.

**ალექსანდროვსკი.** კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 107, გარდაიცვალა 33, ავად არის 91 კაცი.

**კერჩი.** ხოლერით ავად გახდა 14, გარდაიცვალა 8, ავად არის 51 კაცი; აკერმანში ხოლერით კიდევ ავად გახდა 3 კაცი; სოროვსკის მაზრაში ხოლერით გარდაიცვალა 1.

**პეტერგოფი.** ხოლერით ავად გახდა დონის როსტოვიდან დაბრუნებული ნაფიცი ვექილი ზეელერი. როსტოვში იგი პროფესორ ზაბოლოტნისთან ერთად ხოლერის საწინააღმდეგო მუშაობაში იღებდა მონაწილეობას.

**ნიკოლაევსკი** (სამარ. გუბ.) სოფელ ოსტროიალუკში ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა 4 კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** ქალაქში კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 59, გარდაიცვალა 19; ჩერკასის ოლქში ავად გახდა 102, გარდაიცვალა 47; დონის პირველ და მეორე ოლქებში ავად გახდა 31, გარდაიცვალა 17, სალსის ოლქში ავად გახდა 31, გარდაიცვალა 22; დონეცისაში ავად გახდა 196, გარდაიცვალა 117; როსტოვისაში ავად გახდა 204, გარდაიცვალა 78; როსტოვში და ნახიჩევანში ავად გახდა 258, გარდაიცვალა 85; სულ კვირის განმავლობაში ავად გახდა 1002, გარდაიცვალა 409, მორჩა 542 კაცი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ხოლერა.** ტფილისში 26 და 27 ივნისს ხოლერის ნიშნებით 5 კაცი გახდა ავად. 26 ივნისს ავად გახდნენ: ბათუმის ქუჩაზე მე 30 №-ში სახლში ტრამვაის ვატმანი ზურაბ სოლომონისძე ცხოვრებაშვილი, 35 წლისა, დუნდუკ-კორსაკოვის ქუჩაზე მე-7 სახლში გიორგი ივანეს ძე პოლიკანევი, ამიერ კავკასიის სახელოსნოების მუშა, 32 წლისა და ვაგზლის ქუჩაზე ნომრებ „ვოსტოკ“-ში პავლე მეტებაძე, 35 წლისა, რომელიც ყარაიაზიდან ჩამოვიდა. ავადმყოფნი ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს, ხოლო მათ ბინას დეზინფექცია უყვეს. 27 ივნისს ავად გახდნენ: ორლოვის შესახვევში მე-10 სახლში ტფ. მოქალაქე ბალდონ ძე მელიქოვი, რომელიც ამავ დღეს დილის 6 საათზე გარდაიცვალა და საიადოვის შესახვევში—სარქის ალექსანდრესძე ეგაპოვი, 8 წლისა, რომელიც ხოლერიანთა ბინაკში გაიგზავნა და აგრეთვე გარდაიცვალა, მათ ბინას დეზინფექცია უყვეს.

✦ **კათალიკოსის ჩამოსვლა.** კვირას, 27 ივნისს, დილის მატარებლით ეჩმიაძინიდან ტფილისში ჩამოვიდა სომეხთა კათალიკოსი მათეოს მეორე. სადგურზე კათალიკოსს სომხის სამღვდელოების წარმომადგენელნი მიეგებნენ. როგორც ამბობენ, კათალიკოსი ტფილისში, სხვათა შორის, გამოიძიებს ან ნოვის სკოლიდან 24 მასწავლებლის დათხოვნის საქმეს. დღეს დილით კათალიკოსი მცხეთას მიემგზავრება, სადაც ინახულებს კავკასიის ნამესტნიკს.

✦ **წყალში დახრჩობა.** ცხინვალიდან გვწერენ: 24 ივნისს ს. მელვრეკისიდან დაბრუნებისას ლიახვში დაიხრჩვალა თელავის მაზრის მცხოვრები ტ. მელვინეთ-ხუცესაშვილი.

✦ **„ხიდოკები“ ქართლში.** სოფ. კვარხით (გორის მაზრა) ამას წინად „ხიდოკები“ ეწვივნენ თავ. გიორგი ამილახვრის მამულის დასათვალიერებლად. როგორც გადმოგვცეს, მამული მოსწონებიათ, მაგრამ ცოტა უწყლოობას შეუფიქრიანებია.

✦ **მოურავის დაჭრა.** 24 ივნისს მეჯვრისხევიდგან სოფ. წილდოში მიმავალ თ. ბ. ერისთავის მოურავს ამილბარ თომაევს ჩასაფრებიან გზაში სოფ. კიტრეულთან და ტყვიით მძიმეთ დაუჭრიათ. როგორც გადმოგვცემენ, ღალების ორკეცი აკრეფა უნდა იყოს მიზეზი.

✦ **საკრედიტო საზოგ. დირექტორი.** ბათუმიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორად ერთხმად არჩეულ იქნა ანდრია დეკანოზიშვილი.

✦ **პანაშვიდი.** კვირას, 27 ივნისს ქვაშვეთის ეკლესიაში ვლადიმერ ბაქანის ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ განსვენებულის ნათესავები და ახლობელი ამხანაგ თანამოაზრენი და პატივისმცემელნი.

✦ **აბრეშუმის ფასის აწევა.** კავკასიის საბრეშუმო სადგურს საზღვარ-გარეთიდან დეპეშით ცნობა მიუღია, რომ იქაურ ბაზარზე აბრეშუმის ფასს აუწევია, ნაცვლად 9 ფრანკისა და 15 სანტ. ეხლა იყიდება 9 ფრანკი და 50 სანტ.

✦ **ქალის გაუპატიურება.** გორიდან გვწერენ: 21 თიბათვეს, მტკვრის პირას სიმონა ბურდულს და ილიკო ცქრიალაშვილს დაუჭერიათ 52 წლის მოხუცი სულით ავადმყოფი ქალი ეფემია შატბერაშვილი და გაუპატიურებიათ. დამნაშავენი შეიპყრეს და გორის საპატიმროში ჩაამწყვდიეს.

✦ **გამოფენის დახურვა.** დღეს დაიხურება მხატვარ გაბაშვილის სურათების გამოფენა.

✦ **ახალი საზოგადოება.** ტფილისში არსდება ახალი რუსული საზოგადოება „რუსული საურთიერთო კრედიტის საზოგადოება“, რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს სესხის მიცემით რუს ვაჭართა და მრეწველთ. საზოგადოების თითო პაი 100 მანეთია. დამფუძნელთ საზოგადოების წესდება უკვე შეიმუშავეს და მოკლე ხანში მოქმედებას შეუდგებიან.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 27 ივნისს პოლიციამ შეიპყრო ორი კაცი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ: რაჭის მაზრის სოფელ ბროზაძელის მცხოვრები ვლადიმერ სხირტლაძე და რაჭისავე მაზრის სოფელ ბარაულის მცხოვრები კონსტანტინე ომიაძე.

✦ **ფულის გამომტყუებლის შეპყრობა.** 26 ივნისს მაძებარ პოლიციის აგენტებმა სუდებნი ქუჩაზე შეიპყრეს შორაპნის მაზრის სოფელ მუხურის მცხოვრები ელეფთერ მიხეილის ძე გაბრიჩიძე, რომელიც უსაქმოდ დაიარებოდა და მდიდარ ხალხს წერილებით ფულსა სტყუებდა.

✦ **თავის მოკვლა.** 26 ივნისს შუადღისას „ევროპის სასტუმროში“ (გოლოვინის პროსპ.) რევოლვერით თავი მოიკლა კავკასიის მეორე მსროლელთა ბატალიონის პრაპორშჩიკმა პეტრე კარლის ძე როდდემ. განსვენებულმა ორი ბარათი დასტოვა: ერთი ცოლისა და მეორე თავის კომანდირის სახელზე. თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **მკვლელობა.** გურიიდან გვატყობინებენ, 24 ივნისს სოფელ გომში (შემოქმედის საზოგადოება) ეკლესიის დღესასწაულზე, რომელიც აქ იმართება, მოხდა გულშემზარავი ამბავი. ადგილობრივმა მცხოვრებმა დუმბაძემ სასიკვდილოდ დასჭრა ტიტიკო გვარჯალაძე. გვარჯალაძე გარდაიცვალა. მას დარჩა წვრილი ცოლ-შვილი. მკვლელი დუმბაძე პოლიციამ დააპატიმრა.

✦ მასიურ ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო: 26 ივნისს—49 უპასპორტო, ხოლო 27 ივნის—100.

# ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

**ს. საგარეჯო.** (გარედ კახეთი) 1908 წელს სოფ. საგარეჯოში დაინიშნა მთავრობის მამასახლისი ექვსი ხაზრით და მწერლით. ამათი შენახვა სოფელს 4,100 მან. უჯდებოდა წელიწადში, მაგრამ მამასახლისები ამ ხარჯებს არ აკმარებდნენ სოფელს. ამ ცოტა ხნის განმავლობაში რამდენიმე მამასახლისი გამოიცვალა. ერთი მათგანი ისე აშკარად სტარცვავდა ხალხს, რომ მთავრობამ მაინც უმრავლესობა, მამასახლისი დაითხოვა და სამართალშიც მისცა. ამან მაინც ვერ იმოქმედა ზოგი ერთ მის მოადგილე მამასახლისზე, რომელიც ქრთამის აღებას არ უკადრისობდა. მხოლოდ ეს მეტად სიფრთხილით ხდებოდა. ხალხი ძალიან შესწუხდა, მაგრამ შველა არსაიდან იყო, მხოლოდ მომავალით ნუგეშობდა. მაისში გავარდა ხმა, რომ ამ თვის გასულს უნდა აიხსნას მთავრობის მამასახლისი. ხალხი სიხარულით ისმენდა ამ ამბავს. მაგრამ მალე ვიდაც ავაზაკებმა გასცარცვეს ხალხი. მაშინ კი უგელას იმედი დაეკარგა. მთავრობა მამასახლისს აღარ მოხსნიანო. სოფელ თოხდიაურში 20 მაისობას კარგი დღეობა იცის, დიდძალი ხალხი იკრიბება. გაჭრები სარგებლობენ ამით, მიაქვთ სავაჭრო და კარგის მოგებითაც ჰყიდიან. როდესაც გაჭრები უკანა ბრუნდებოდნენ, დაეცნენ ყაჩაღები და სულ წაართვეს ფულიც და რაც კი დარჩენილი საქონელი ჰქონდათ. აი ეს იყო, რომ გარეჯელი გლეხები მეტად დაასდონა. ხალხი იმედ დაკარგულად გაიძახოდა, ამ ნაძირალების საქციელმა შეიძლება შეაყენოს მთავრობის მამასახლისის მოხსნაო. და ასეც იქნებოდა, რომ ერთს ბედნიერს შემთხვევას არ ეშველნა გარეჯელებისათვის. ტფილისის გუბერნატორი კახეთისაკენ მიდიოდა და გზად საგარეჯოს მინდორზე უნდა გაევლო. ეს გზა საგარეჯოდან 4—5 ვერს. იქნება დაშორებული, მაგრამ ამის მიუხედავად მთელი საგარეჯოს გლეხობა დაუხვდა გუბერნატორს პურ-მარილით. ზოგი-ერთი დამფრთხალი ინტელიგენტი ურჩევდა ხალხს ტყუილად ნუ გაიფუჭებთ პირს, ნუ სთხოვთ მთავრობის მამასახლისის მოხსნას ეხლა დრო არ არისო, მაგრამ გლეხებმა არ დაუჯერეს ამ ვაჟბატონებს და გუბერნატორს მისცეს თხოვნა, მთავრობის მამასახლისი აგვხსენითო. გუბერნატორი დაჰპირდა ამ თხოვნის ასრულებას. ხალხი მხიარულად დაბრუნდა შინ იმ მოლოდინით, რომ მალე მთავრობის მამასახლისი მალე მოშორდებოდათ. მაგრამ ეს არ ესიამოვნა გარეჯელ ზოგიერთა ინტელიგენტს, ის ძალიან შეესისხლხორცა ამ უკანასკნელს მამასახლისს, რომელიც ყოველ დღე თარითა და ჭიანურით შექცევდა ხოლმე. ამისთვის ისინი ეცადნენ, თუ მაინცა და მაინც მთავრობის მამასახლისი მოიხსნებოდა, ხალხს ამოერჩია თავის მამასახლისად ისევ ის ყოფილი მთავრობის მამასახლისი. დასამწუხაროა ინტელიგენციის ამნაირი ქცევა. რა უყოთ, რომ გლეხებმა თვეში 50 მან. უნდა აძლიონ და თანაც ამ ვაჟ-ბატონს კარგი გრძელი მკლავებიცა აქვს? ინტელიგენციას რა? ის კარგს კანწყობილობაშია მამასახლისთან, ერთად ქეიფობენ ჭარალ-თალალის დასძახიან. ის ფიქრობს, ყველამ თავისთვის უნდა იზრუნოსო, ინტელიგენცია თავისთვის ზრუნავს. დეე გლეხებმაც თავისთვის იზრუნონ. მაგრამ გლეხებმა რამდენიც უნდა იზრუნონ, რამდენიც უნდა თავი ქვას ახალონ, საგარეჯოს განვითარებულს და ნასწავლს ინტელიგენციასთან რას გახდებიან. მოინდომონ კი რამე და ვერ აასრულონ, ეს შეუძლებელია, ისეთი ძლიერია საგარეჯოს ინტელიგენცია. გლეხობამ კი არ იცოდა ინტელიგენციის აზრი, არც უნდოდა გაეგო, ის მოუთმენლად ელოდდა იმ ბედნიერს დღეს, როცა მთავრობის მამასახლისი მოშორდებოდათ სამუდამოთ. მაგრამ, ღვთის განგება! თურმე ეს დღე დადგა კიდეც და გლეხობის მომეტებულმა ნაწილმა კი არ იცის, რომ ამ ბედნიერებას სიხარულით მიეგებოს. იციან მხოლოდ ზოგიერთმა ინტელიგენციის თანამოაზრე გლეხებმა და თვით ინტელიგენციამ. ეს დღე იყო 13 ივნისი. ამ დღეს დილით მამასახლისის თანაშემწეებმა და გზირებმა გამოუცხადეს ხალხს, რომ ურილობა იქნებაო. თუ ეკითხებოდი რაზედ უნდა იყოს ურილობაო? გიპასუხებდნენ: „რა გულსწრაფი ხარ, იქ ვერ გაიგებ ურილობაზედ“? თუ ჩემეკიდებოდი, კარგს მათრახსაც მიიღებდი. ამასობაში დრო გავიდა, კარგად მოშუადღევდა, მაგრამ მამასახლისი კი არ სად იყო, რომ ურილობა მოეხდინათ, აღმოჩნდა, რომ მამასახლისი სხვა სოფელში ყოფილიყო წასული. ყველამ იფიქრა ურილობა აღარ იქნებაო. ხალხი დაიშალა, დარჩნენ მოედანზედ ინტელიგენცია და იმათი თანამოაზრე გლეხები. შუადღეს მოტანებული იყო, როცა მამასახლისი ქვევიდგან მოაქროლებდა ცხენს. ყველამ დაიძახეს: „მამასახლისი მობრძანდება, მაშ ურილობა იქნებაო!“ ინტელიგენცია დაედევნა უკან მამასახლისს, შევიდნენ კანცელარიაში. სხვათა შორის, მეც იქ ვიყავი. მამასახლისმა, შევიდა თუ არა კანცელარიაში, ერთ-ორს ინტელიგენტს რაღაც უჩურჩულა, რასაც ჰქონ ნიშნად თავის კანტური მოჭყუა. ამის შემდეგ გაემგზავრნენ მოედნისკენ, სადაც ურილობა უნდა ყოფილიყო. ხალხი შეიკრიბა. ბოქაულმა თარჯიმანის შემწეობით გამოუცხადა ხალხს, რომ გუბერნატორის ბრძანებით აიხსნა მთავრობის მამასახლისი და ნება გეძლევათ ამოირჩიოთ ვინც გინდათ მამასახლისად, თუნდ ეს ყოფილი მთავრობის მამასახლისიო. ურილობამ ერთხმად მოახსენა ბოქაულს, რომ ამაზედ პატიოსანი აქ მოურავის არავინ იქნებაო და ამაზედ მეტი ჩვენ სხვა მამასახლისად არ გვინდაო. მხოლოდ ცოტა ჯამაგირზედ შეეუთანდა ხალხი, 50 მან. თვეში ებევრებოდათ, 30 მან. უნიშნავდნენ. მაშინ მამასახლისმა თავისი მჭერმეტყველობა გამოიჩინა და ხალხს უთხრა: „აბა, ხალხო, თქვენ თვეში 30 მან. მაძლევთ, მაგით როგორ უნდა ვცხოვრობ ცოლშვილი, გინდათ მეც ისეთი მექრთამე ვიყო, როგორც სხვა მამასახლისები ყოფილან? და თუ 50 მან. მომცემთ, მაშინკი მე ჩემს მოთხოვნილებას დავიკმაყოფილებ და პატიოსნადაც გემსახურებითო“. ამ აზრიან სიტყვის შემდეგ რაღა ეთქმოდათ გლეხებს და დაუნიშნეს თვეში 50 მან. განაჩენი დასწერა მწერალმა. წერა-კითხვის მცოდნეებმა, რომლებიც ცოტანი არიან საზოგადოთ სოფლებში, ხელი მოაწერეს განაჩენს. უცოდინრების მაგიერად კი მწერალი უნდა გაისარჯოს და იმათ მაგიერად ხელი მოაწეროს. ესრე, ელირსათ გარეჯელებს მთავრობის მამასახლისის ახსნა! **მოკრტიმლე.**

—

**დიდი ჯიხაიში** (იმერეთი) ამას წინათ მოხდა აქაურ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს წევრთა წლიური კრება. როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან ჩანს, სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, იმის მიზეზით, რომ წევრთ თავის დროზედ არ შემოუტანიათ წლიური საწევრო გადასახადი. აღძრა საკითხი იმ ფულების შესახებ, რომელიც ყოფილმა მამასახლისმა ხალხს გადახდევინა ბიბლიოთეკის სასარგებლოთ და აქ დღემდის მისთვის არ ჩაუბარებია. უკანასკნელ საკითხის გამორკვევა მინდო ორ კრებისგან არჩეულ კაცს. არჩეულ იქნა ახალი გამგე ქ ნი მ. და-

მოიხსენიეს და ცოტას გასწყდა სიცოცხლესაც გამოასალმეს, რომ იმ დროზე არ ეშველნა თავისათვის და არ გამოქცეულიყო [5]).

ასეთს საგმირო საქმეს სჩადიოდნენ რუსეთის დესპანები და მათი ამალა. იმის მაგიერ, რომ საქმე გაეკეთებინათ და გაჭირვებულ კახეთისათვის რამენაირად ეშველნათ, ისინი ლოთობდნენ, ქეიფობდნენ, ქურდობდნენ და ხალხს აწიოკებდნენ.

შამხალზედ გალაშქრებაც, რასაკვირველია, არ მოხდა ამ წელს. თანახმად პირობისა ალექსანდრეს უნდა გაეგზავნა თავისი შვილი გიორგი ჯარებით, მაგრამ რადგან თვით კახეთში არეულობა იყო და ბატონიშვილი გიორგი ხუნდებ გაყრილი ციხეში იყო გამომწყვდეული, ჯარების გაგზავნა შეუძლებელი იყო. რუსეთის ჯარი კი მზად იყო გასალაშქრებლად, მაგრამ, გაიგეს თუ არა კახეთში არეულობა არისო და ჯარს ვეღარ მოგვაშველებენო, დაიმალნენ და თავთავიანთ ადგილს წავიდ-წამოვიდნენ.

ხომ ასე უპატიურადა და უმართებულოდ იქცეოდნენ რუსეთის დესპანები და მათი ამალა, მაგრამ ახლა ვნახოთ რას მოახსენებენ რუსეთის მთავრობას საქართველოზედ და როგორ დამნაშავედ გამოიყვანენ თვით ქართველებს.

მივედით თუ არა კახეთში, მოახსენებენ რუსეთის მთავრობას დესპანები, მეფე დავითმა მაშინვე მიიღო ფიცი რუსეთის ახალ მეფის ერთგულებაზედ და მაშინვე ქსნის ერისთავს, რომელიც აჯანყებოდა, ბრძოლა დაეწყოთო, ჩვენ კი უკურადღებოდ დაგვტოვეთ და ღვთის ანაბარად მიგვატოვე სადღაც შორს ტყეშიო, სადაც დიდს გაჭირვებაში ვიყავით და შიმშილს განვიცდიდით. გაუგზავნეთ მეფეს თარჯიმანი დიმიტრი და ტიხონი, მოვახსენეთ ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა, მაგრამ მეფე გაბრაზდა და ყველანი შორს სადღაც ძეგამში გაგვრეკაო. ძეგამში უფრო მეტს გაჭირვებაში ჩავარდითო და მთელის დღეებით უჭმელ-უსმელნი ვიყავითო. გარდა ამისა ისეთი აუტანელი სიცხეები იყო, რომ თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მთებს შეაფარეს თავი და ჩვენ აბა რა ხეირი დაგვეყრებოდაო, ამის გამო მრავალნი დავავადმყოფდით და ბევრიც სიცოცხლეს გამოესალმაო. მეფემ თერგზედ კაცი გაგზავნა ლაშქრობის ამბის შესატყობინებლადო, რომელიც დაბრუნდა და მოახსენა, რომ რუსეთის ლაშქრობისა არა ისმის რაო. ამის შემდეგ, ხომ სულ უდიერად გვეპყრობოდნენ, ოსმალეთის ჩოუშები დიდს პატივში ჰყავდათ, თავისთან ასმევ-აჭმევდნენ და ჩვენ არც კი ვახსოვდით, სად ვიყავით და სად არაო. განრისხებულმა მეფემ დაგვიბარა და გვითხრა—16 წელიწადია რუსეთის მეფეს ვემსახურები, მთელი ჩემი საცხოვრებელი და ქონება იმათ შევაჭამეო და იმას კი ოდნავაც არაფერი უშველნია ჩემთვისაო. ამასთანავე ალექსანდრემ უმართებულოთ მოგიხსენიათ და არა საკადრისის სიტყვებით შეგამკოთო და როცა ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ, თქვენ ისეთ უდიერად მოხსენებაზედ ციხეში გვიკრა თავიო. მრავალი ამგვარი ცილისწამება შეთხზეს რუსეთის ელჩებმა, მაგრამ თეოდორეს შუამდგომლობით და პიყველას ჩამოთვლით მკითხველს არ მოვაწყენთ.

დესპანების მოხსენებამ სამწუხარო გავლენა იქონია რუსეთის მთავრობაზედ, განრისხდა ბორის გოდუნოვი, ბობოქრობდა რუსეთის საზოგადოება, როცა ცოტა ხნის შემდეგ ქართველთა დესპანები ბერი კირილე ქსანტოპულო და ვინმე საბა მოსკოვისაკენ გაემგზავრნენ, ნიჟნი ნოვგოროდში გააჩერეს და უკან დაბრუნებას უპირობდნენ. რუსეთის მთავრობამ ისე უჩვენა თავი ქართველთა დესპანებს, რომ ნაშჩოკინისა და ლეონტიევის მოხსენების შემდეგ აღარ გვინდა თქვენთან რამე საქმის დაჭერაო. მაგრამ რას იზავდა რუსეთი? საქართველოსთან საქმის დაჭერაზედ უარის თქმა ნიშნავდა ხელის აღებას კავკასიაში დამკვიდრებაზედ, რასაც რუსეთი არას დროს არ იზავდა. ქართველები მისთვის საჭირონი იყვნენ და თუმცა ისე უჩვენეს თავი, ვითომ დესპანების მიღება არც კი გვინდაო, მაგრამ ეს უბრალო თვალთმაქცობა იყო და ამითი რუსეთს უნდოდა თავის სახელი ჯეროვნს პატივისცემაში ყოფილიყო საქართველოში. რომ ეს ასე იყო, ამას იქიდანაც დავინახავთ, რომ რუსეთის მთავრობა სრულიად დაკმაყოფილდა ბერის კირილეს პასუხით დესპანების საქციელის შესახებ და არამც თუ უსასტიკესი სასჯელს მიუსაჯავს დეპუტატებს, ის ზარალიც, რაც მათ მიაყენეს ქართველებს სავსებით აუნაზღაურებს.

ნიჟნი-ნოვგოროდში გაჩერებულს ქართველთა დესპანებს ნება მისცეს მოსკოვში მისვლისა ბატონიშვილის თეოდორეს შუამდგომლობით და პირველად ალმაცერად და ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. მაგრამ გამოცდილმა და მოხერხებულმა ბერმა კირილემ, რომელსაც არა ერთს დესპანობაში მიეღო მონაწილეობა და კარგად იცნობდა რუსეთის მთავრობას, მალე ისე დააყენა საქმე და ისე დაარწმუნა რუსეთის საზოგადოება ქართველების უდანაშაულობაში, რომ რუსეთის მთავრობამ აზრი შეიცვალა და სრულის ნდობით დაუწყო ცქერა ბერს კირილეს. ქსანტოპულომ დაწვრილებით აუწყა რუსეთის მთავრობას დესპანებისაგან ჩადენილი საქმენი საგმირონი, მათგან ხალხის აწიოკება, ქურდობა, მეძაობა, უტყუარის საბუთებით დაამტკიცა სრული სიცრუე მათის მოხსენებისა და დაასკვნა, რომ ყველა ეს განგებ მოგონილია ელჩებისაგანაო, რათა დაესწროთ ჩივილი, დამნაშავედ გამოეყვანად ქართველები და ამით თითონ მართალნი გამოსულიყვნენ. დასასრულ კირილემ ჯვარსა და სახარებაზედ დაიფიცა, რომ მეფე ალექსანდრეს არას დროს ცუდად არ მოუხსენებია რუსეთის მთავრობაო, პირიქით ყოველთვის მოწიწებით იხსენიებს ხოლმე და თავაზითა და პატივით ექცევა დესპანებს. თუ მცირედენი რამე აწყენინეს დესპანებს, ეს სისრულით მიეწერება მეფე დავითს, რომელმაც ძალით ჩაიგდო სამეფო ხელში და თვით მამაც დიდს გაჭირვებაში ჰყავდაო.

რუსეთის მთავრობა სრულიად დაკმაყოფილდა კირილეს მოხსენებით, დამნაშავედ იცნო ნაშჩოკინი და ლეონტიევი და ორთავეს თავის მოკვეთა გადაუწყვიტა. ნაშჩოკინი სიკვდილმა გადაარჩინა სამარცხვინო სასჯელს, ლეონტიევს კიდევ თვით კირილეს შუამდგომლობით სიკვდილით დასჯა სამუდამო ციხედ შეუცვალეს. **ზ. ედილი.**

(შემდეგი იქნება)

[5]) Бѣлокуровъ, сношенія Россіи съ Кавказомъ გვ. 396, 397.

დანის სული ლორთქიფანიძისა და გამგეობის წევრნი. წევრთ, რომელთაც საწევრო ფული არ გადაუხდიათ, ვადა მიეცათ 30 მარიამობისთვემდის, დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა უთვილ გამგეს. მღვ. გ. ნუცუბიძეს.

Tou.

---

**სოფ. ძევვი** (გორის მაზრა) მკითხველებს ეხსომებათ, რომ 21 თიბათვეს სოფ. ძევვში სასოფლოების ამორჩეული მამასახლისი სოლოღაშვილი მოჰკლეს. ამ დღეს მთელ სოფელს შიშის ზარი დაეცა და კარგა ხანიც არ დაავიწყდებათ მათ ეს დღე. ამ დღეს მამასახლის დაუნახავს ორი გიდაც უცნობი და უკითხავს „ვინა ხართ და ვის ეძებთო?" მათ შემოუტევნიათ „რა შენი საქმეა!" მამასახლის ეჭვი შეჰპარვია მათ ვინაობაზედ და მოუნდომნია მათი გაჩხრეკა. გაჩხრეკის დროს ერთს აღმოჩენია პატრანტაში აყარებული პატრონებით. შეშინებულ მამასახლისს უკითხნია, „რა არის ესაო"? უცნობს უძვრია მაუზერის რევოლვერი, დაუხლია მამასახლისისათვის და თან დაუძახნია: „აი ეს არისო!" ამავე დროს იქავე მდგომი გზირი ჰცემია ხელებში. მაგრამ მეორე უცნობს აუტეხნია სროლა მათთვის. მამასახლისი იქავე მოუკლავთ, ხოლო გზირი სასიკვდილოთ დაუჭრია: უცნობს უცაბედათ თავისი ამხანაგიც ფეხში დაუჭრია, შემდეგ მოუვლია ხელი დაჭრილ ამხანაგისთვის და გაქცეულა. შეშინებულნი გლეხები სახლებში მიმალულან გზაში უცნობებს შეხვედრია გლეხი მარქარაშვილი, რომლისთვის უცნობს უბრძანებია აიყვანე ეხლავე ეს დაჭრილი და წამოიყვანეო. გლეხს უპასუხნია „მეშინიან შენი ჭირიმეო! ამ დროს უცნობს მისთვის რამდენჯერმე დაუხლია რევოლვერი და იქავე მოუკლავს: „აი ამისი ხომ არ გეშინიანო!" ეს ამბავი გაუგია ძევვის სადგურის რკინის გზის სტრაჟნიკს, რომელიც ფეხდა-ფეხ მიჰყოლია უცნობებს მას თან გაჰყოლია გლეხი პაპიაშვილი სანადირო თოფით. ტყეში შეუმჩნევიათ უცნობები, ატეხილა ორთავე მხრივ საშინელი სროლა, რომლის დროს სტრაჟნიკს ტყვია შიგ გულში მოხვედრია. პაპიაშვილს აუღია მკვდარ სტრაჟნიკის თოფი (ბერდანა) და კვლავ განუგრძვია სროლა. სროლის დროს პაპიაშვილს რამდენჯერმე მოურტყამს ბერდანის ტყვია უცნობისათვის, რომელიც იქვე მოუკლავს ხოლო მეორე უცნობი გაქცეულა. უცნობი მკვდრის ვინაობა ვერ გაიგეს ხოლო ბევრი ამგვანებს იმერლიშვილს, რომელსაც ი. ჭავჭავაძის მოკვლა ჰბრალდებოდა და მეტეხის ციხიდგან გაიქცა.

გ. კ—ძე.

## რა ესაჭიროება სოფელს

გული მიკვდება, როცა ვხედავ, რომ უცხო ქვეყნებში საუკეთესო მომავლის შესაქმნელად თვით სოფელი ზრუნავს, ჩვენში კი სოფელი სდუმს, სდუმს, თითქოს იგი არც კი გრძნობდეს მაზედ გამეფებულ ცხოვრების უკუღმართობას. მაგრამ არა, ეს ასე არ არის! სოფელი ძლიერ კარგად გრძნობს, რომ ძალა მასშია, მაგრამ ეს მიყუჩებული, ეს მთვლემარე ძალა საჭიროებს გამოფხიზლებას და მომქმედ ძალად გარდაქცევას. სოფელი თავის კანში იწვის და თავის აუტანელ მდგომარეობაზე, თავის ჭირ ვარამზე მხოლოდ მასავით დაჩაგრულს ახლო მეზობელს თუ უამბობს, თორემ დანარჩენთათვის მისი გაჭირვება გაუგებარი რჩება.

ჩვენ ძლიერ კარგად გვეხერხება სოფელზე და გლეხებზე **მხოლოდ ლაპარაკი** და **წერა**, საქმით კი სოფლისაგან თითქმის ყველანი დაშორებულნი ვართ. საჭიროა გლეხებზე მარტო წერა კი არა, არამედ **მათთან მუშაობა** და ჩვენი შრომაც მეტს ნაყოფს გამოიღებს. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლები მუდამ იმაზე სტირიან, ხელის მომწერნი საზოგადოდ ყველგან და განსაკუთრებით სოფლად ძლიერ ცოტანი გვყავანო. ეს მართლია, მაგრამ მარტო ფაქტის აღნიშვნა და ცხარე ცრემლით ტირილი არა კმარა. საჭიროა საშუალების გამონახვა, რომ ქართულმა გამოცემამ მკითხველი დააინტერესოს, მას მოთხოვნილება გაუფართოვოს და თავისთვის ბაზარი მოიპოვოს. მართლაც, სასირცხოა და დიდი უკულტურობის აღმნიშვნელი ის გარემოება, რომ $2^1/_2$ მილიონ ქართველ ხალხს სულ ორი-თუ-სამიოდე ჟურნალ-გაზეთი მოეპოება. ყოფილა ისეთი მაგალითებიც, რომ მკითხველთა სიმცირის გამო ჟურნალს ან გაზეთს მალე მოუსპია თავისი არსებობა. ხშირად ასეთი მოვლენა საზოგადოების გულ-გრილობით და უსალსრობით აუხსნიათ, მაგრამ, ჩემის აზრით, აქ სხვა უფრო სამწუხარო მიზეზს ჰქონია ადგილი. ან თვით გამოცემა ვერ აკმაყოფილებდა საზოგადოებას თავის უშინაარსობის გამო, ან და გამომცემელს ვერ მოეხერხებინა მისი ჯეროვანათ გავრცელება. ეხლაც ასეთს ყოფას განიცდიან ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, თუ ყველა არა უმრავლესობა მაინც. ამიტომ საჭიროა ჯერ გამოცემათა თვით შინაარსის გაუმჯობესება, და მერე ამასთან ერთად მათი გავრცელების რიგიანად მოწყობა.

არ იქნება ასეთი დაბა სოფელი, რომ იქ თითო-ოროლა საშუალო ინტელიგენტი ან გაზეთის საქმის მცოდნე პირი არ მოიპოვებოდეს. პატარა ქალაქებზე ამ მხრივ ხომ ლაპარაკიც მეტია. ამათ უნდა ჰქონდეთ განუწყვეტელი კავშირი ქალაქის ცენტრალურ წრეებთან; ეს უკანასკნელნი უნდა უწევდნენ მათ იდეიურსა და ტეხნიკურ ხელმძღვანელობას, და ისინიც თავიანთის მხრივ უნდა პატარა ცენტრებს წარმოადგენდნენ, რომელთა გარშემოც შემოიკრიბებიან იმ რაიონების წევრები. თავდაპირველად საქმის სასურველად მოწყობა შეიძლება ძლიერ ძნელიაც იყოს, მაგრამ თუ სიძნელეს სათავეშივე არა ვძლევთ, საქმეს არც რიგიანი დასასრული მიეცემა. ჩვენ ხშირად მხოლოდ რედაქტორ-გამომცემლების მოვალეობად მიგვაჩნია დრო გამოშვებით გამოცემათა გავრცელება, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. გაზეთის ყველა თანამშრომლები და მკითხველნი თანასწორად უნდა იყვნენ ამ საქმეში დაინტერესებულნი და ყველანი უნდა სცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მკითხველი მოუპოვონ თავიანთ გაზეთს. განსაკუთრებით საზაფხულოდ სოფლად გასული ინტელიგენცია და სხვა და სხვა მაღალ, საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსწავლენი მშვენივრად შეასრულებდნენ ამ სიმპატიურ როლს და შესაფერ დახმარებას გაუწევდნენ ჩვენ რედაქტორ-გამომცემლებს ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში. გარდა ამისა, სოფლებში მუდამ არიან სახალხო სკოლების მასწავლებლები და ესენიც თავიანთ ერთ მოვალეობათაგანათ ამ საქმესაც უნდა სცნობდნენ. რასაკვირველია, ყველა ეს მხოლოდ შეუდრეკელი ენერგიით და საქმის მხურვალე სიყვარულით გაკეთდება და ამიტომ ვისაც კი შესწევს ძალა, აუცილებლად დახმარება უნდა გაუწიოს ამ საქმეს. ნუ გადავსდებთ ხვალისათვის იმას, რის გაკეთებაც დღესვე შეიძლება! მივაწოდოთ სოფელს მისთვის საჭირო აზრი და რამდენადაც შეიძლება დავეხმაროთ მის თვით საქმითაც. ამნაირად სოფელსაც გამოვათქმევინებთ საკუთარ აზრს და შეხედულებას ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე.

ვ. ჭუმბურიძე.

## თეატრი და ხელოვნება

**ცხინვალი.** 22 ივნისს ბ. ჟივიძის რეჟისორობით წარმოადგინეს „პატარა კახი". მონაწილეობას იღებდენ ქართულ თეატრის მსახიობნი: იშხნელი და მატარაძე. ამათ გარდა მონაწილეობას იღებდნენ ბ. ბ. კვალიაშვილი, ციციშვილი, კავშურიძე, ცერაძე და სხვ. პიესამ საერთოდ გვარიანად ჩაიარა. კარგი იყო ბ. იშხნელი, მოხუც გელას როლში, და ჟივიძე პატარა კახის როლში. ქალები მეტად სუსტად თამაშობდენ. ადგილობრივ სცენის მოყვარენი—ცერაძე და კავშურიძე (მეფის როლში) კარგები იყვნენ. წარმოდგენის გათავების შემდეგ მატარაძემ და დ. ელიოზიშვილმა წაიკითხეს ლექსები. შემოსავალი მეტად ნაკლები იყო.

ლ. ე.

---

**ს. დიდი-ჯიხაიში.** (იმერეთი) კვირას, 27 ივნისს, დიდი-ჯიხაიშის სკოლის დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ სკოლის სასარგებლოთ წარმოდგენილ იქნა ალ. ყაზბეგის 3 მოქმედებიანი დრამა „არსენა" და ვოდევილი „იქვიაინი". წარმოდგენა დაიწყო 10 საათზედ თუმცა აფიშებში ნაჩვენები იყო დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ, მიუხედავათ იმისა, რომ სამუშაო დროა, ხალხი წარმოდგენას ბლომათ დაესწრო. წარმოდგენამ გვარიანათ ჩაიარა, თუმცა ბევრ მოთამაშეს აშკარად ეტყობოდა წარმოდგენისათვის მოუმზადებლობა. თითქმის უნაკლო იყო ქ-ნი ლ. ბ. (ნინოს როლში). უეჭველია ის რომ არა ურიგო სცენის მოყვარეს უნდა ვხედავდეთ მასში და ვაფასებდეთ. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი ნ. დ. (სიდონია) ბ-ნი ივ. ც. ვერ გამოდგა კარგი არსენა, ის უფრო სულით ავათმყოფს მოგაგონებდათ, ვიდრე ყაჩაღს, რომლის დამახასიათებელი თვისება გამბედაობა და შეუპოვრობაა. როგორც გამოცდილ სცენის მოყვარეს არ ეპატიება შეუფერებელ როლის ამორჩევა. არ იყო უნაკლო არც ბ-ნი ნ. დ. (გარსევანი) მას ასეთ როლებში ბევრ ნაკლს დებს შესაფერი ხმის და ამაყი შეხედულების უქონლობა. საქები იყო ა. ხ. სირაჯის როლში.

არა უშავდა რა შ. ჩ. (პეტრე), რომელმაც შესაფერათ გამოხატა გმირის სულიერი ტანჯვა დანარჩენ სცენის მოყვარეებზედ, ცალ-ცალკე არას ვიტყვი გარდა იმისა, რომ საერთოთ ანსაბლს შესაფრათ უწყობდნენ ხელს.

საყოველთაოდ უნდა ითქვას, ჩვენში ინტელიგენცია ენერგიას იჩენს, რისთვისაც დაფასების და პატივის ღირსია.

Tou.

---

**სახალხო სახლი.** კვირას 27 ივნისს სახალხო სახლში დანიშნული წარმოდგენა: „ექიმი შტოკმანი" არ შესდგა. წარმოდგენა შემდეგისათვის გადაიდო.

## უცხოეთი

**ბრძოლა საარჩევნო რეფორმისათვის.** საფრანგეთის პარლამენტში ეხლავე გაცხარებული წინასწარი ბრძოლაა პროპორციანალურ სისტემის წარმომადგენლობის შემოღებაზე. ამ რეფორმებს მომხრენი და მოწინააღმდეგენი ორ დიდ ბანაკად არიან გაყოფილნი. ამ ჟამად ბრძოლა უმთავრესად გაზეთების ფურცლებზე სწარმოებს. დეპუტატთა პალატაში 19 ივნის პირველად მოხდა შეტაკება ამ ორ ჯგუფს შორის. ეს შეტაკება, მოხდა მაშინ, როდესაც საკუთხი დაისვა მუდმივ საპარლამენტო კომისიების ორგანიზაციაზე. აქამდინ ამ კომისიებს კენჭის ყრით ნიშნავდა საპარლამენტო ბიურო. ეხლა ერთმა დეპუტატმა წინადადება შეიტანა, რომ საპარლამენტო კომისიის წევრთა არჩევა პოლიტიკურ ჯგუფებზე მოხდეს, თითოულ ჯგუფს უნდა მიეცეს უფლება ამოურჩიოს თავის ერიდან ჯგუფის რაოდენობის მიხედვით ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს პროპორციანალურ საარჩევნო სისტემის მომხრეებმა და მათ შორის ჟორესმა. სამაგიეროდ მოწინააღმდეგენიც დიდის წინააღმდეგობით შესვიდენ ამ წინადადებას. უკანასკნელნი მედგრად იცავდენ ძველ საარჩევნო სისტემას.

კამათის დროს ყველა ეხებოდა საარჩევნო რეფორმას, რომლისკენაც მიპყრობილია საფრანგეთის ხალხის გულისყური. გამოირკვა, რომ ამ სისტემის მომხრენი ეცდებიან შემოიღონ რეფორმა როგორც პარლამენტის შინაურ საქმეთა წარმოების საქმეში, ისე მთელს სახელმწიფოს ცხოვრებაში. 19 ივნისის სხდომამ აშკარად დაანახვა, რომ საარჩევნო რეფორმებს მედგარი დამცველებიც ჰყავს და მოწინააღმდეგენიც წინადადება მიღებულ იქმნა 317 ხმით წინააღმდეგ 186 ხმისა. ამნაირად პროპორციონალურ საარჩევნო სისტემის მომხრეების პირველი გამოსვლა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

## რუსეთი

✦ **კიევის სამხედრო ორგანიზაციის საქმე.** კიევში სამხედრო სასამართლოში დაიწყო სამხედრო ორგანიზაციის საქმის გარჩევა, რომლის გამო სამართალში მიცემულია პოლკოვნიკი ობერუჩევი, სამი აფიცერი და ათი ჯარის-კაცი.

✦ **ერთი მანეთის სამკვიდრებელი.** ამ ათი წლის წინად პეტერბურგში გარდაცვლილა ქალაქ ხარკოვის მცხოვრები ქალი ლომაკოვი. მის სიკვდილის შემდეგ მის სახელობაზე პეტერბურგის ხაზინაში დარჩენილა ერთი მანეთი და ყრთი შაური. დაიწყეს მემკვიდრეების ძებნა. „სენატის უწყებაში" ორჯელ დასტამბეს ამის შესახებ განცხადება, რაიც ხაზინას ერთი მანეთი დაუჯდა. მემკვიდრეები არსად სჩანდნენ. რადგან ათი წელი უკვე გავიდა, ამას წინად პეტერბურგიდან შეატყობინეს ხარკოვის გამგეობას, რომ 1 მ. და 5 კ. ეკუთვნის ლომაკოვის სამშობლო ქალაქს. ეს მიწერ-მოწერაც ხაზინას ერთი მანეთი დაუჯდა. ხარკოვის გამგეობამ ეს საქმე თავის იურისკონსულტს გადასცა; აქედან საქმე სასამართლოში გადავიდა, ხოლო სასამართლოდან ნოტარიუსზე. ეხლა კიდევ შეეკითხნენ, არის ნამდვილად თუ არა 1 მ. და 5 კ. ხაზინაში, ხოლო როცა გადაჭრილ პასუხს მიიღებენ, ხარკოვის გამგეობის ხაზინადარი მიიღებს ამ სამკვიდრებელს.

**მოსკოვის მომხმარებელთა საზოგადოებანი.** რუსეთის მომხმარებელთა საზოგადოების კავშირის ანგარიშიდან სჩანს, რომ 1909 წელს კავშირს დაუტრიალებია 1,174,566 მანეთი. (1908 წელთან შედარებით მომატებია 605,842 მან.); წმინდა შემოსავალი დარჩომია 40,612 მ.ნ.; 16,718 მანეთით მეტი, ვიდრე 1908 წ. გასავალი უდრის 31,995 მან. კავშირის ვალი დასდებიათ საზოგადოებებს 239,715 მანეთი, ხოლო თვით კავშირს სხვა და სხვა ფირმების დასდებია 249.308 მან. საკუთარ შენობის ასაგებად მოხმარებელთა საზოგადოებათაგან მიმდინარე წელს კავშირს მიუღია 11,557 მანეთი.

## წერილი რედ. მიმართ

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ მცირე წერილს საპასუხოდ იმ წერილისა, რომელიც დაიბეჭდა თქვენივე გაზეთის მე-42 ნომერში.

წერილის ავტორი დ. კახნიაშვილი გთხოვთ საშუალებას თქვენი გაზეთით აუწყოს ყველას, ვითომ მე ვერის ეკკლესიის გალავანში გავაჭრევინე უწმინდურობის ადგილისთვის სასაფლაო, რომელიც არ უნდა გაჭრილიყო, რაკი საფლავის ქვა სჩანდა; მაინც გავაჭრევინე სასაფლაო, საიდანაც ადამიანის ძვლები ამოიღეს. ამაზედ იგი ხმას იღებს, როგორც ეკკლესიის სამზრუნველოს წევრი, და იმედოვნებს, რომ სხვა წევრებიც ხმას ამოიღებენ. მსგავსი რამ ამისი არა მომხდენია-რა ეკკლესიის გალავანში, რომელიც ჩემს ზედამხედველობის ქვეშაა. ეს არის სრული ჭორი და ცილის-წამება.

მე ბევრთან უსიამოვნება შემმთხვევია იმისთვის, რომ შეხებიან სასაფლაოს და ეხლა მევე შევეხე? და თუ შევეხებოდი, კახნიაშვილი გაზეთს არასოდეს არ მიმართავდა, არამედ თვით ჩემ მთავრობას და აი რისთვის. კახნიაშვილმა ვერის სასაფლაოს მახლობლად აიშენა ერთი ოთახი, რომელიც გაადიდა 1907 წ. საკუთარი საშუალებით; ადგილი აქვს ოთხმოც-დაათი (90) საჟენი, მაგრამ არ დასჯერდა ამას, ისარგებლა „დროთი" და ძალმომრეობით უკანა კედელი სახლისა ააგო ეკკლესიის ადგილზე; დააყოლა კარი-აკოშკა, ეკკლესიის ადგილი ეზოთ გაიხადა და საფლავების ნიშნები წაშალა. იგი ითვლებოდა სამზრუნველოს წევრად და ამ საქციელისა გამო სამზრუნველომ დაადგინა (აპრ. 8-ს 1910 წ.) გამორიცხულ იქმნას იგი სამზრუნველოდან, რაიცა ეცნობოს სასულიერო მთავრობას; ეკკლესიის ადგილის დაჩემებისათვის კი სამსახურის ვალდებულობისა გამო და თანახმად სინოდალურ კანტორის ბრძანებისა (მარტის 12-ს 1908 წ. № 3946). საჩივარი არის მიცემული რაზედ ტფილისის ოლქის სასამართლოში, სადაც პირველი დაბარება მოხდა 24 ამ ივნისს და ცხადია, რომ სასარგებლოდ არ გადაწყდებოდა საქმე (მაშასადამე მას სურს სიცრუით და ცილის დაწამებით სამაგიერო გადამიხადოს, მეტი არაფერი.

როდესაც ეკკლესიის გალავანში კეთდება რამე, უეჭველად იცის სამზრუნველომ, რომელიც შესდგება თორმეტი კაცისაგან; ყოველივე გაკეთებას უნდა მთავრობის ნება-რთვა; ჩვენ არც ნება აგვილია, არც რამე გაგვიკეთებია; და თუ მაინც რამეს გავაკეთებდით, უეჭველად ეცოდინებოდა სამზრუნველოს წევრს ბ. ს. კლდიაშვილს. როგორც ხუროთ-მოძღვარს, ურომლისოდაც ეკკლესიის გალავანში არაფერი გაკეთებულა ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, არც 26 ივნისს.

ბ. დ. კახნიაშვილის წერილი, როგორც სჩანს, თავიდან ბოლომდე ცილისწამებაზე აგებული და ეხლა კი ვაცხადებ, რომ რაც უნდა დასწეროს გაზეთში, პასუხს არ გავცემ.

ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი **გ. გამდლიშვილი.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—130

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უქმე დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვ'ისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბების, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვა:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** $^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** $9^1/_2$—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმაცი:** 6—$6^1/_2$ საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

როგორ უნდა დავიფაროთ თავი ჭლექისაგან და როგორ უნდა მოვირჩინოთ თავი თუ ჭლექი შეგვხვდა.

თხზულება **ა. შიუკეხი.** ჰიგიენა ჭლექიანებისა

ფ ა ს ი გაგზავნით 1 მან. 25 კაპ. ფასდადებით 1 მან. 45 კაპ. СПБ. Невскій 108. Т—ва „основа" 2547. (4—6—4)

ვეწვევ პირს, რომელთაც შეუძლიანთ აიღონ სამოწაფეო ბუფეტი სკეტინგრინკში

Обращаться на Михайловскій проспект. № 129. домъ Барть, на ряду съ прожекторомъ АПОЛЛО. (2—325—2)

**ლამაზად და ჩქარ წერას** ვასწავლი 10 გაკვეთილის მიცემით პირადად თუ წერილობით **დაჯილდ. უნივერსიტეტის ატესტ.**, ოქროს მედლით მოწაფეების კარგი წერისათვის. ხუთ შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ვგზავნი საცდელ წერილს, შრიფტის ნიმუშებს და პირობებს. Одесса, проф. каллиграфіи А. КОССОДО. Дерибасовская, д. Грузевича. (10—ვ.—7)

ვ. უიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**მეაბრეშუმეებს**
◀ ლოჟიეს ▶

ფირმისაგან აბრეშუმის თესლების დაკვეთის სეზონი ახლოა, რადგანაც ახლა მზადდება ფაბრიკაში თესლები, ამიტომ გაუწყებთ ჩემს თანამშრომლებს (და მას, ვისაც ამ თესლების გავრცელება სურს), რომ დაუყოვნებლივ შემოიტანოთ თავის რაიონისთვის საჭირო დაკვეთა, უამისოდ მე თესლებს არ გამოვიწერ.

ფოცხანაყანევის, ზემო-ქვიტარის, მალაქის, საჩინოს, ბანდაის, სვირის, თერჯოლის, საჩხერის, ჩხარის, სენაკის, ნოღალევის და სხვა საზოგად ადგილებში მსურს აგენტურის მოწყობა თუ შესაფერი კაცები, საიმედო პირობებში იკისრებენ საქმის წარმოებას.

პირობებს გაიგებათ მეპატრონე შემდეგი ადრესით: იოსებ კაკაბაძეს, ქუთაისში. **ი. კაკაბაძე.** (6—6.—4)

● **სენსაციონური ამბავი** ●



200 მანეთიან ოქროს საათების მაგიერ ჩვენ ვურჩევთ შეიძინონ საათები, «სეცესია», რომელნიც სილამაზით და ფასონით ოქროს საათებს არ ჩამოურჩებიან. საათები მეტად თხელებია, ვერცხლის მანეთიანის სისქე, ამერიკის ახალ ოქროსი, არას დროს არ ეკარგებათ ფერი, სახურავებს ჩაბეჭდილი აქვს „ყვავილები" (იხ. ნახ.). „სეცესიას" საათები განთქმულნი არიან თავის სისწორით და გარეგნულ სიმშვენიერით, მუშაობს ქვებზე, დაქოქა ყოველ 40 საათში ერთხელ. ფასი 3 მ. 75 კ. 2 საათი 7 მ. ასეთივე ქალის საათები 4 მ. 75 კ. უფასოდ ეთმობათ მშვენიერი საათის მეწკვი ახალი ოქროსი, ბრელოკით და საათის ბუდით. საათები იგზავნება გასწორებული წუთითი-წუთამდე სწორი. იგზავნება ფასდადებით და უბეოთაც. აქვს წლის პასუხის-მგებლობა.

**თუ საათი არ მოეწონებათ, ფულს უკან ვაბრუნებთ.**

გაგზავნა ორი ცალისა 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

Адресъ: Экспортн. домъ И. Штрумфельдъ, Варшава, Св. Крест 48, отд. 12.

ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. Метцль и К-о N 33876. (4—6.—4

—● CARVER COTTOH GIN CO, EAST BRIDGEWATER, MASS. ●—

**კარვერ კოტონ ჯინ და ამხ. ბრიჯევატერისა**

✦ ამერიკაში ✦

◀ ა წ ვ დ ი ს ▶

ყოველ-გვარ მანქანას ბამბის დასამუშავებელს, როგორც: ხელით სამუშავებელი და მოსამართი ჯინები ყველა ზომისა, ლინტერები და სხვა. სრული მოწყობა ბამბის გასარჩევ ქარხნისა პნევმატიურ მოწყობილებით.

**ერთად-ერთი წარმომადგენელნი მთელს რუსეთში**

**სავაჭრო სახლი ძმ. სტეპკუნები ბაქოში**

განყოფილებანი: მერვსა, კოკანდსა, წარმომადგენლები: ტაშკენტსა, ბაფრუმსა (სპარსეთი), ადმინ. **პოლაკ** და ამხ. ტფილისში, ტელეფონი N 27. სატეხნიკო სახ. **ე. გ. პისერისა** ტფილისში, ტელეფონი N 687. (ტ. 10—10)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

**„როზა"**

(„ვარდი")

ტფილისი, ურებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—35)




რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.